

პრაქტიკის კომპონენტის აღწერა

პროგრამა: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
მიზნები	3
ხანგრძლივობა	3
სტრუქტურა.....	4
ცხრილი N1.....	6
მოსალოდნელი შედეგები.....	6
პრაქტიკის განხორციელების ეტაპების აღწერა.....	7
პარტნიორი სკოლები	7
სტუდენტთა სკოლებში გადანაწილების მექანიზმები	8
პრაქტიკის მონიტორინგი	9
პორტფოლიო.....	10
რეფერატი	121
დანართები.....	12
დანართი N1 - <i>ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი</i>	
დანართი N2 - <i>პროგრამის მონაწილეთა სკოლების ბაზა</i>	
დანართი N3 - <i>კითხვარი სკოლებისთვის</i>	
დანართი N4 - <i>პროგრამის მონაწილეთა სკოლებში განაწილების ბაზა</i>	
დანართი N5 - <i>წერილი და თანხმობის ფურცელი სკოლის დირექტორებისთვის</i>	
<i>პრაქტიკის გავლის თანხმობის ფურცელი</i>	
დანართი N6 - <i>პროგრამის მონაწილეების მიერ პრაქტიკის შეფასების კითხვარი</i>	
დანართი N7 - <i>პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის მონაწილის შეფასების კითხვარი</i>	
დანართი N8 - <i>პორტფოლიოს აღწერა</i>	

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონცეფცია ეყრდნობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2008 წელს დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, 2014 წელს შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, კერძოდ, წარჩინებული მასწავლებლის მოთხოვნებს.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სასკოლო პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია როგორც მეთოდურ კურსებში ჩაშენებული, ასევე პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის ფორმატით.

მიზნები

სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროს გაცნობის შედეგად, მყარდება მჭიდრო კავშირი საუნივერსიტეტო განათლების თეორიულსა ნაწილსა და სასკოლო ცხოვრების პრაქტიკულ ნაწილს შორის, რაც საშუალებას აძლევს პროგრამის მონაწილეს, მოახდინოს თეორიული ცოდნის ტრანსფერი რეალურ სასკოლო გარემოში.

პრაქტიკის კომპონენტის ძირითადი მიზანია ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც, პედაგოგიურ თეორიულ ცოდნასთან ერთად, ფლობენ წარჩინებული მასწავლებლის სტანდარტის შესაბამის პრაქტიკულ უნარებს.

ხანგრძლივობა

პრაქტიკის კომპონენტი გამჭოლად გასდევს პროგრამას და მისი განუყოფელი ნაწილია. მეთოდურ კურსებში ჩაშენებული და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის ფარგლებში პროგრამის მონაწილის მიერ გავლილი პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების ჯამური რაოდენობა პროგრამის დასრულებისას უნდა იყოს მინიმუმ 10 კრედიტი, მათ შორის 6 კრედიტი - სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი.

სტრუქტურა

წარმოდგენილი მოდელის მიხედვით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სასკოლო პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ორი ფორმატით:

1. კურსებში ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკა;
2. სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი.

1. კურსებში ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკა ინტეგრირებულია პროგრამის სასწავლო კურსებში და ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი.

2. სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი კრავს და ამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც პროგრამის მონაწილე დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში.

დამოუკიდებელი სასკოლო პრაქტიკის კურსისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობის მინიმუმ 60% ეთმობა სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად ან პრაქტიკის კომპონენტში ჩართული მხარეების¹ თანამონაწილეობით განხორციელებულ სასწავლო აქტივობებს.

როგორც ჩაშენებული, ასევე დამოუკიდებელი პრაქტიკის შემთხვევაში, გათვალისწინებულია სკოლაში კონკრეტული საგნისთვის დათმობილი საათების რაოდენობა. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის ფარგლებში გათვალისწინებული აქტიური პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს პროგრამის მონაწილის მიერ როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე (უცხო ენებისა და ქართულის როგორც მეორე/უცხო ენის შემთხვევაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე) განხორციელებულ მრავალფეროვან

¹სასკოლო აქტივობა პროგრამის მონაწილემ შეიძლება განხორციელოს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის, კურსის ხელმძღვანელის ან, ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში, პროგრამის სხვა მონაწილეების თანამონაწილეობით.

აქტივობებს. პროგრამის მონაწილე პრაქტიკის დამოუკიდებელ კურსს გადის პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში.

კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის შეფასების წილი საერთო შეფასების მინიმუმ 40%-ს, ხოლო სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის შემთხვევაში, 60%-ს შეადგენს.

ჩაშენებული პრაქტიკა, ისევე, როგორც პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი, გულისხმობს პროგრამის მონაწილის ჩართვას როგორც პასიურ, ასევე აქტიურ სასკოლო პრაქტიკულ აქტივობებში.

პასიური პრაქტიკის დროს პრაქტიკანტი პროცესების მხოლოდ დამკვირვებელია. აღნიშნული ტიპის პრაქტიკა არ ითვალისწინებს პროგრამის მონაწილის მიერ სასკოლო აქტივობების² დამოუკიდებლად ან პრაქტიკის კომპონენტში ჩართული მხარეების თანამონაწილეობით ორგანიზებასა და განხორციელებას.

პასიური პრაქტიკის დროს პროგრამის მონაწილე კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემატიკის შესაბამისად ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ფოკუსირებული დაკვირვება;
- მონაცემების შეგროვება;
- დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- რეფლექსია და ა.შ.

აქტიური პრაქტიკის დროს პროგრამის მონაწილეს ეძლევა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ან პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული მხარეების თანამონაწილეობით დაგეგმოს და წარმართოს ამა თუ იმ კურსის ფარგლებში დაგეგმილი სასკოლო აქტივობა. ასეთი აქტივობები შეიძლება იყოს:

- გაკვეთილის ან კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა და ჩატარება;
- შემაჯამებელი სამუშაოს დაგეგმვა და ჩატარება;
- მოსწავლეთა შეფასება და შეფასების ანალიზი;
- საგნის მასწავლებლებთან შეხვედრების, დისკუსიების, კლასგარეშე აქტივობების ორგანიზება და ა. სხვ.

²იგულისხმება ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: გაკვეთილის დაგეგმვა, ჩატარება, განხილვა; შემაჯამებელი სამუშაოები; საკლასო და კლასგარეშე სხვა აქტივობების სრულად განხორციელება.

პირველ სემესტრში კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის დიდი წილი ეთმობა პასიურ პრაქტიკას. აქტიური პრაქტიკა ჩაშენებულია კურსის დასასრულს და პირველ სემესტრში ის ითვალისწინებს პროგრამის მონაწილის ნაწილობრივ ჩართვას საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებში; მეორე სემესტრში კი ითვალისწინებს პროგრამის მონაწილის როგორც ნაწილობრივ, ასევე სრულად ჩართვას საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებში.

სასკოლო პრაქტიკის კომპონენტში პროგრამის მონაწილის შეფასების წესი დეტალურად არის აღწერილი კურსების სილაბუსებში.

ცხრილი N1

ცხრილში მოცემულია

I სემესტრი	პასიური პრაქტიკა	აქტიური პრაქტიკა	
		სასწავლო აქტივობებში ნაწილობრივ ჩართვა	სასწავლო აქტივობებში სრულად ჩართვა
ჩაშენებული ფორმატი	+	+	-
II სემესტრი	პასიური პრაქტიკა	აქტიური პრაქტიკა	
		სასწავლო აქტივობებში ნაწილობრივ ჩართვა	სასწავლო აქტივობებში სრულად ჩართვა
ჩაშენებული ფორმატი	+	+	+
პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი	+	-	+

მოსალოდნელი შედეგები

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების გათვალისწინებით, პრაქტიკის წარმოდგენილი მოდელი პროგრამის მონაწილეს დაეხმარება შემდეგი კომპეტენციების განვითარებაში:

- პროგრამის მონაწილე შეძლებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროებების, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავებას და მის საფუძველზე სასწავლო პროცესის წარმართვას;

- პროგრამის მონაწილე შეძლებს მოზარდის განვითარებისა და განათლების თეორიების, სწავლისა და სწავლების ინოვაციური სტრატეგიების (უნივერსალური დიზაინი, დიფერენცირებული სწავლება და სხვა) ეფექტიანად გამოყენებას სწავლების პროცესში;
- პროგრამის მონაწილე შეძლებს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მეთოდების მიზნობრივ გამოყენებას მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის შესაფასებლად;
- პროგრამის მონაწილე შეძლებს სასკოლო პრაქტიკის თვითშეფასებისა და კოლეგების შეფასების საფუძველზე კომპლექსურად გააანალიზოს პრაქტიკის ეფექტიანობა, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და შეიმუშაოს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა.

პრაქტიკის განხორციელების ეტაპების აღწერა

პარტნიორი სკოლები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს სკოლებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სასკოლო პრაქტიკა ყოველთვის წარმოადგენდა მასწავლებლის მომზადების პროგრამების მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობითა და მიდგომით სკოლებთან პარტნიორობის ფარგლებში სისტემატიურად ხორციელდებოდა. აღნიშნული გამოცდილების, მასწავლებლის მომზადების პროგრამის მიზნებისა და, ასევე, უნივერსიტეტთან თანამშრომლობით დაინტერესებული სკოლების საჭიროების გათვალისწინებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულია მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები. (დანართი N1)

უნივერსიტეტს შექმნილი აქვს პარტნიორი სკოლების ბაზა. (დანართი N2)

ყოველი აკადემიური წლის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე უნივერსიტეტი აგროვებს ინფორმაციას სკოლებიდან პრაქტიკის კომპონენტის ორგანიზებისათვის. (დანართი N3)

აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სხვა პირებისთვის.

პროგრამის მონაწილეთა სკოლებში გადანაწილების მექანიზმები

სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, (დანართი №3) დგინდება, რამდენი პრაქტიკანტის მიღების შესაძლებლობა აქვს სკოლას ამა თუ იმ საგანის/საგნობრივ ჯგუფის მიმართულებით. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის მონაწილეები ნაწილდებიან შესაბამის სკოლებში. პროგრამის მონაწილეების სკოლებში განაწილების შედეგები თავს იყრის ერთიან ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია კურსის ხელმძღვანელებისთვის. (დანართი №4)

სასკოლო პრაქტიკის ადმინისტრირებაში ჩართულნი არიან განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მონაწილეები.

პროგრამის მონაწილეთა გადანაწილების ელექტრონული ბაზის სამართავად გამოყენებულია Google Drive.

კურსის ხელმძღვანელი ვალდებულია, პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში პროგრამის მონაწილეთა განაწილებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ აცნობოს პროგრამის ადმინისტრაციას და, შესაბამისი კომენტარის დართვით, ცვლილება შეიტანოს ელექტრონულ ბაზაში.

პრაქტიკის ადგილის ცვლილება ხორციელდება კურსის/პროგრამის ხელმძღვანელს, პარტნიორ სკოლასა და პროგრამის მონაწილეს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

როგორც ჩაშენებული, ასევე დამოუკიდებელი პრაქტიკა ხორციელდება ჯგუფური მუშაობის ფორმატში. ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხს.

ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტი ადგენს პროგრამაზე ჩარიცხული პირებისა და სკოლებში პრაქტიკანტების ვაკანსიათა რაოდენობების შესაბამისობას. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის მონაწილეების რაოდენობა აღემატება სკოლებში

ვაკანტურ ადგილებს, უნივერსიტეტი უზრუნველყოს პარტნიორი სკოლების დამატებას.

პრაქტიკანტების სკოლებში გადანაწილების შემდეგ უნივერსიტეტი უგზავნის სკოლებს საინფორმაციო შინაარსის წერილს. პროგრამის მონაწილეთა განაწილება ამა თუ იმ სკოლაში დასტურდება დირექტორის თანხმობის წერილით (დანართი №5).

პრაქტიკის დაწყებამდე კურსის ხელმძღვანელები ორგანიზებას უწევენ საინფორმაციო შეხვედრებს პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორებთან.

პრაქტიკის მონიტორინგი

მონიტორინგის მიზანია პრაქტიკის მიმდინარეობის ხარისხის უზრუნველყოფა. პროცესზე სისტემატიური დაკვირვება და ანალიზი პრაქტიკის კომპონენტის დროული კორექტირებისა და განვითარების საფუძველია.

პრაქტიკის მონიტორინგისთვის გამოყენებული იქნება შემდეგი ინსტრუმენტები:

- საინფორმაციო ელექტრონული ბაზები (დანართი №4);
- პრაქტიკის განხორციელების გეგმა, რომელიც კურსის სილაბუსის შემადგენელი ნაწილია;
- პარტნიორი სკოლებიდან მიღებული პრაქტიკის კომპონენტის ორგანიზებისათვის საჭირო ინფორმაცია (დანართი №3);
- პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებლებთან, პარტნიორი სკოლების დირექტორებთან და პროგრამის მონაწილეებთან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო,³ შუალედური,⁴ და შემაჯამებელი შეხვედრები;⁵
- პროგრამის მონაწილეთა სკოლებში ვიზიტების ამსახველი დღიურები, რომლებსაც აწარმოებს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებელი და რომელთა ნამდვილობაც დასტურდება პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლისა და სკოლის დირექტორის ხელმოწერებით (დანართი №5);
- პრაქტიკის დღიურები, რეფლექსიები, მასწავლებლებთან ინტერვიუების ტრანსკრიპტები ან აუდიო/ვიდეოჩანაწერები, რომლებსაც პროგრამის მონაწილე პრაქტიკის მიმდინარეობისას სისტემატიურად აწარმოებს;

³სემესტრის დასაწყისში

⁴პრაქტიკის მიმდინარეობის შუალედში

⁵პრაქტიკის დასრულების შემდეგ

- პროგრამის მონაწილეებისა და პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის პრაქტიკის დღიურებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კურსის ხელმძღვანელი ამზადებს ანალიტიკურ ანგარიშს, რომელიც უნდა მოიცავდეს დასკვნებსა და რეკომენდაციებს შემდეგი მიმართულებით: პრაქტიკის კომპონენტის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები კურსის ფარგლებში და პრაქტიკის კომპონენტში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა;
- მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი იქნება პრაქტიკის კომპონენტის ნაწილში კურსის ხელმძღვანელის დაკვირვება, რომელიც იწარმოება პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის ფარგლებში დაგეგმილ პროგრამის მონაწილეების მიერ სკოლაში განხორციელებულ აქტივობებზე. დაკვირვებისთვის ლექტორი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეარჩევს პროგრამის მონაწილეების აქტივობას. დაკვირვება უნდა წარმოებდეს თითოეული პროგრამის მონაწილეების მიერ მინიმუმ ორ აქტივობაზე.
- სკოლებიდან მიღებული სარეკომენდაციო თუ სხვა შინაარსის შეტყობინებები;
- მასწავლებლის მიერ პრაქტიკანტის შეფასების ფურცლები (დანართი №6);
- პროგრამის მონაწილეების მიერ პრაქტიკის შეფასება (დანართი №7);
- სკოლების გამოკითხვები პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ.

პორტფოლიო

პროგრამის დასასრულს, პროგრამის მონაწილე წარმოადგენს ელექტრონულ პორტფოლიოს. პორტფოლიო პრაქტიკანტის შეფასების ინსტრუმენტია, რომლის მიზანია პროგრამის მონაწილის იმ პრაქტიკული კომპეტენციების შეჯამება და შეფასება, რომელთა განვითარებაც მოხდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

პორტფოლიოს კომპონენტში პროგრამის მონაწილის შეფასების ფორმაა „ჩათვლა“. კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემა მხოლოდ პორტფოლიოს დადებითად შეფასების შემთხვევაში.

პროგრამის მონაწილე პორტფოლიოს ქმნის ყველა იმ კურსის ფარგლებში, რომლებიც სასკოლო პრაქტიკის კომპონენტს მოიცავს. ელექტრონული პორტფოლიოს შემთხვევაში კი, მას საშუალება ეძლევა, საკუთარი ნაშრომებიდან შეარჩიოს და პორტალზე განათავსოს მხოლოდ საუკეთესო ნაშრომები, რომლებითაც დაადასტურებს დანართში №8 ჩამოთვლილ კომპეტენციებს.

რეფერატი

უცხო ენების მიმართულების გერმანული ენის ქვემიმართულების მონაწილემ, მოდულებთან და სასკოლო პრაქტიკაში მონაწილეობასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს ერთი ნაშრომი/რეფერატი, რომელიც უნდა მოიცავდეს მაქსიმუმ 20 000 ასო-ნიშანს.

ნაშრომის მიზანია მთელი წლის განმავლობაში მონაწილის მიერ მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია და ამ ცოდნასა და შეძენილ დარგობრივ კომპეტენციებზე დაყრდნობით ჩატარებული პრაქტიკის ერთ-ერთი სასურველი კვლევის შედეგების სწორად წარმოდგენა (ნაშრომის შედგენისა და მისი შეფასების კრიტერიუმები იხ: *დანართში №9*).

ნაშრომს შეაფასებს ილიას უნივერსიტეტისა და გოეთეს ინსტიტუტის ერთობლივი კომისია.

ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე პროგრამის მონაწილე ირჩევს ხელმძღვანელს. რეფერატის ხელმძღვანელი პროგრამის მონაწილეს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ნაშრომის დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამის მონაწილეს მიენიჭება 6 კრედიტი.

დანართები

დანართი N1 - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი, _____

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და

სკოლას შორის

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი),
წარმოდგენილი რექტორის, გიგა ზედანიას, სახით და
_____ სკოლა (შემდგომში

- სკოლა) წარმოდგენილი დირექტორის, _____,
სახით ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით,
გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე
მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

1.1. წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის
ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის
სტუდენტთა სტაჟირებას სკოლების ბაზებზე პედაგოგიური პრაქტიკის,
კვლევებისა და სხვადასხვა ერთობლივი აქტივობის დაგეგმვისა და
განხორციელების მიზნით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. სასკოლო პრაქტიკის, პრაქტიკის კვლევის, ერთობლივი ღონისძიებების
ორგანიზების ფარგლებში მხარეები იღებენ შემდეგ ვალდებულებებს.

2.1.1 სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში უნივერსიტეტი ვალდებულია:

- ა) ჩამოაყალიბოს პრაქტიკის კონცეფცია, რომელშიც მოცემული იქნება პრაქტიკის, როგორც პროგრამის კომპონენტის, მიზანი, შედეგები, შეფასების სისტემა (მათ შორის კრიტერიუმები), ხანგრძლივობა, დატვირთვა (როგორც სტუდენტის, ასევე ხელმძღვანელის), ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ბ) პრაქტიკის კონცეფციის ჩამოყალიბების და განხილვის პროცესში ჩართოს სკოლის ადმინისტრაცია;
- გ) კოორდინირება გაუწიოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას;
- დ) ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან და პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელთან, სემინარები პრაქტიკის პროცედურასა და პროგრამის იმ კურსის თემატიკაზე, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს პრაქტიკა;
- ე) უზრუნველყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლების პერიოდული ტრენინგები კომპონენტის მოთხოვნების და სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ვ) აწარმოოს პრაქტიკის მონიტორინგი, გააანალიზოს მონიტორინგის შედეგები და მოამზადოს რეკომენდაციები პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით;
- ზ) უზრუნველყოს სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობა პრაქტიკის, როგორც პროგრამის კომპონენტის, გაუმჯობესების პროცესში;
- თ) პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დახმარება გაუწიოს პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში ინდივიდუალური კონსულტაციებით, ლექციებზე დასწრებით, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის უფლებითა და კურსების ფარგლებში გამოყენებული რესურსების გაზიარებით;
- ი) წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით შეაფასოს პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის მუშაობა სტუდენტებთან;
- კ) სკოლის მოთხოვნისა და შესაბამისი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, შესთავაზოს სკოლას შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულების სტუდენტი ან უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სტაჟიორის, ასისტენტ-მასწავლებლის/მასწავლებლის თანამდებობაზე.

2.1.2. სასკოლო პრაქტიკის ფარგლებში სკოლა ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს პრაქტიკანტისთვის უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისი საგნის / საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შერჩევა პრაქტიკის ხელმძღვანელად;
- ბ) უზრუნველყოს სასკოლო პრაქტიკის შეუფერხებელი განხორციელება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის კონცეფციის შესაბამისად;
- გ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მხრიდან დაგეგმილ პრაქტიკასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში;
- დ) დაეხმაროს სტუდენტს სასკოლო პრაქტიკის ორგანიზაციული მხარის მოგვარებაში;
- ე) შეატყობინოს უნივერსიტეტს სტუდენტის მხრიდან პრაქტიკის მიმდინარეობისას წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემის შესახებ;
- ვ) ხელი შეუწყოს პრაქტიკანტს დაგეგმილი რაოდენობის საგაკვეთილო საათებზე დაკვირვებაში, ასისტირებასა და ჩატარებაში;
- ზ) გამართოს პრაქტიკანტებთან რეგულარული სარეფლექსიო დისკუსიები, მისცეს კონსტრუქციული უკუკავშირი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად;
- თ) პრაქტიკის კომპონენტის საჭიროებიდან გამომდინარე და პრაქტიკანტის დაინტერესების შემთხვევაში, ჩართოს პრაქტიკანტი სასკოლო ცხოვრების არასაგაკვეთილო აქტივობებში;
- ი) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეაფასოს პრაქტიკანტი და წერილობით გადასცეს იმ კურსის ხელმძღვანელს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პრაქტიკა;
- კ) უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ პრაქტიკანტს/სტაჟიორ მასწავლებელს/ მასწავლებელს შეუქმნას ყველა პირობა პროფესიული განვითარებისა და თვითრეალიზებისათვის.

2.1.3. პრაქტიკის კვლევის ფარგლებში უნივერსიტეტი ვალდებულია:

- ა) დაეხმაროს სკოლას პრობლემების იდენტიფიცირებაში, მის გაანალიზებაში, ინტერვენციების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში;
- ბ) დაეხმაროს პრაქტიკის კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს კვლევითი კომპეტენციის ამაღლებაში;

გ) აწარმოოს მონიტორინგი უნივერსიტეტისა და სკოლის მიერ ერთობლივად დაგეგმილი პრაქტიკის კვლევის მიმდინარეობაზე და პერიოდულად მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები კვლევის გასაუმჯობესებლად.

2.1.4. პრაქტიკის კვლევის ფარგლებში სკოლა ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს პრაქტიკის კვლევის სტუდენტთა ჯგუფს კვლევის შეუფერხებლად განხორციელებაში;

ბ) უზრუნველყოს კვლევის კომისიის წევრი მასწავლებლების აქტიურად ჩართვა პრაქტიკის კვლევის პროცესში;

გ) შეაფასოს სტუდენტების მიერ სკოლაში განხორციელებული სამუშაო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული შეფასების ინსტრუმენტის საშუალებით;

დ) საჭირო მხარდაჭერაზე უარის თქმის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, დაასაბუთოს უარის მიზეზი წერილობით.

2.1.5. ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) სკოლებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტთან მემორანდუმით გაფორმებული სკოლების ქსელის ჩამოყალიბებასა და მის საქმიანობას;

ბ) ხელი შეუწყოს მემორანდუმის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ქსელში შემავალ სკოლებს საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაში (კონფერენციები, ერთობლივი პუბლიკაციები, ერთობლივი პროექტების მომზადება და ა.შ.);

გ) მხარი დაუჭიროს აღნიშნულ ქსელში შემავალ სკოლებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებაში და ექსპერიმენტების წარმართვაში უნივერსიტეტის ლაბორატორიის გამოყენებით;

დ) აღნიშნულ ქსელში შემავალ სკოლებს შესთავაზოს აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციები, მასწავლებლებთან ერთად სამოდულო გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება.

2.1.6. ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში სკოლა ვალდებულია: აქტიურად ჩაერთოს მემორანდუმის ფარგლებში ჩამოყალიბებული სკოლების ქსელის მუშაობაში.

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ორი წლის ვადით, მემორანდუმის შეწყვეტა დასაშვებია 30 დღით ადრე მხარეთა წერილობითი მიმართვის საფუძველზე;

3.2. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების გზით;

3.3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სკოლა _____

მის: ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5

მის: _____

ქ. თბილისი 0162, საქართველო.

_____ საქართველო.

ტელ: (995 32) 231 026; 294 197

ტელ: _____

ფაქსი: (995 32) 231 026, 220 009

ფაქსი: _____

ელფოსტა: info@iliauni.edu.ge

ელფოსტა: _____

ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge

ვებგვერდი: _____

რექტორი

დირექტორი

გიგა ზედანია

დანართი N3 - კითხვარი სკოლებისთვის

სკოლის სრული დასახელება	
დირექტორის სახელი და გვარი	
დირექტორის ტელეფონის ნომერი	
სკოლის ელფოსტა	
სკოლის ტელეფონის ნომერი	
სკოლის მისამართი (ქუჩა / ნომერი / საფოსტო ინდექსი)	

მონიშნეთ შესაბამისი რეგიონი (თბილისის შემთხვევაში, რაიონი), სადაც მდებარეობს სკოლა	
მონიშნეთ ერთი პასუხი	
<input type="checkbox"/>	კახეთი
<input type="checkbox"/>	შიდა ქართლი
<input type="checkbox"/>	ქვემო ქართლი
<input type="checkbox"/>	მცხეთა-მთიანეთი
<input type="checkbox"/>	იმერეთი
<input type="checkbox"/>	სამცხე-ჯავახეთი
<input type="checkbox"/>	გურია
<input type="checkbox"/>	რაჭა-ლეჩხუმი
<input type="checkbox"/>	სამეგრელო
<input type="checkbox"/>	სვანეთი
<input type="checkbox"/>	თბილისი
<input type="checkbox"/>	დიდუბე
<input type="checkbox"/>	გლდანო
<input type="checkbox"/>	ისანი
<input type="checkbox"/>	მთაწმინდა
<input type="checkbox"/>	ვაკე
<input type="checkbox"/>	სამგორი
<input type="checkbox"/>	კრწანისი
<input type="checkbox"/>	ნამალადევი
<input type="checkbox"/>	ჩუღურეთი
<input type="checkbox"/>	საბურთალო

სკოლა ახორციელებს გაძლიერებულ სწავლებას შემდეგი მიმართულებებით:	
მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი	
<input type="checkbox"/>	ქართული ენა და ლიტერატურა
<input type="checkbox"/>	მათემატიკა
<input type="checkbox"/>	ბიოლოგია
<input type="checkbox"/>	ფიზიკა
<input type="checkbox"/>	ისტორია

<input type="checkbox"/>	სამოქალაქო განათლება
<input type="checkbox"/>	გეოგრაფია
<input type="checkbox"/>	გერმანული ენა
<input type="checkbox"/>	ინგლისური ენა
<input type="checkbox"/>	ქართული, როგორც მეორე ენა
<input type="checkbox"/>	სკოლაში გაძლიერებული სწავლება არ ხორციელდება არცერთი საგნობრივი მიმართულებით

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ კითხვებს უპასუხოთ საბაზო და საშუალო საფეხურის (VII-XII კლასები) მასწავლებლების შესახებ

რამდენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია სკოლაში?	
მონიშნეთ ერთი პასუხი	
<input type="checkbox"/>	1
<input type="checkbox"/>	2
<input type="checkbox"/>	3
<input type="checkbox"/>	4
<input type="checkbox"/>	5
<input type="checkbox"/>	6
<input type="checkbox"/>	7
<input type="checkbox"/>	8

აღნიშნეთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა რაოდენობა მათი კატეგორიის მითითებით.									
მონიშნეთ შესაბამისი გრაფა									
	0	1	2	3	4	5	6	7	8
პრაქტიკოსი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
წარჩინებული მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მკვლევარი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მენტორი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

რამდენი მათმატიკის მასწავლებელია სკოლაში?	
მონიშნეთ ერთი პასუხი	
<input type="checkbox"/>	1
<input type="checkbox"/>	2
<input type="checkbox"/>	3

მასწავლებელი									
მკვლევარი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მენტორი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

რამდენი სამოქალაქო განათლების მასწავლებელია სკოლაში?	
მონიშნეთ ერთი პასუხი	
<input type="checkbox"/>	1
<input type="checkbox"/>	2
<input type="checkbox"/>	3
<input type="checkbox"/>	4
<input type="checkbox"/>	5
<input type="checkbox"/>	6
<input type="checkbox"/>	7
<input type="checkbox"/>	8

აღნიშნეთ სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა რაოდენობა მათი კატეგორიის მითითებით.									
მონიშნეთ შესაბამისი გრაფა									
	0	1	2	3	4	5	6	7	8
პრაქტიკოსი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
წარჩინებული მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მკვლევარი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მენტორი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

რამდენი გეოგრაფიის მასწავლებელია სკოლაში?	
მონიშნეთ ერთი პასუხი	
<input type="checkbox"/>	1
<input type="checkbox"/>	2
<input type="checkbox"/>	3
<input type="checkbox"/>	4
<input type="checkbox"/>	5
<input type="checkbox"/>	6
<input type="checkbox"/>	7
<input type="checkbox"/>	8

აღნიშნეთ გეოგრაფიის მასწავლებელთა რაოდენობა მათი კატეგორიის მითითებით.									
მონიშნეთ შესაბამისი გრაფა									
	0	1	2	3	4	5	6	7	8
პრაქტიკოსი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
წარჩინებული მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მკვლევარი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მენტორი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

რამდენი ინგლისური ენის მასწავლებელია სკოლაში?	
მონიშნეთ ერთი პასუხი	
<input type="checkbox"/>	1
<input type="checkbox"/>	2
<input type="checkbox"/>	3
<input type="checkbox"/>	4
<input type="checkbox"/>	5
<input type="checkbox"/>	6
<input type="checkbox"/>	7
<input type="checkbox"/>	8

აღნიშნეთ ინგლისური ენის მასწავლებელთა რაოდენობა მათი კატეგორიის მითითებით.									
მონიშნეთ შესაბამისი გრაფა									
	0	1	2	3	4	5	6	7	8
პრაქტიკოსი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
წარჩინებული მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მკვლევარი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მენტორი მასწავლებელი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

რამდენი გერმანული ენის მასწავლებელია სკოლაში?	
მონიშნეთ ერთი პასუხი	
<input type="checkbox"/>	1
<input type="checkbox"/>	2
<input type="checkbox"/>	3
<input type="checkbox"/>	4

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ კითხვებს უპასუხეთ დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასები) მასწავლებლების შესახებ.

